ლამაზად, დამაჯერებლად

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 4 ოქტომბერი.

"დინამო (თბილისი) - სკა (როსტოვი) 3:1 (2:0).

სკა: ლიუბარცევი, მედვედევი, ნოსოვი, გეტმანოვი, ჩერტკოვი, აფონინი, მატვეევი, შიკუნოვი, კოპაევი (ლევჩენკო), პონედელნიკი, ანუფრიენკო.

"დინამო": კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხელაძე, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი პ. ბელოვი (ლენინგრადი).

გუნდები გამოვიდნენ მოედანზე და ხალხით სავსე ტრიბუნებზე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ფეხბურთის მოყვარულები ორმა ფაქტმა გააოცა: ხელაძის ახალმა ამპლუამ და ახალგაზრდა პეტრიაშვილის დებიუტმა ამ საპასუხისმგებლო მატჩში. არც როსტოველთა შორის იყო ყველაფერი ძველებურად, ნორმალურად. გუნდმა საგრძნობლად შეცვალა თავისი შემადგენლობა და მოახდინა ხაზების გადაჯგუფება. ერთი სიტყვით, გარეგნულად შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მეტოქეები ახალი ტაქტიკური ვარიანტის გამოცდას ფიქრობენო.

მაგრამ დაიწყო მატჩი და ყველაფერი ძველ, ნაცად კალაპოტში ჩადგა. სტუმრების თავდასხმა პირველსავე წუთზე "დინამოს" მოქნილი, მანევრული დაცვის წინაშე აღმოჩნდა, სადაც ცენტრალური ზონა პეტრიაშვილ-ჩოხელის "ტანდემმა" ჩაკეტა მტკიცედ. ამ შეხვედრაში წარმატების მიღწევა ბევრად იყო დამოკიდებული როსტოველთა გაორებული ცენტრის (კოპაევი-პონედელნიკი) უვნებელყოფაზე, მაგრამ, როგორც შემდეგ მატჩის მსვლელობამ გვიჩვენა, საბჭოთა კავშირის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი პონედელნიკი (ავადმყოფობის შემდეგ) არ იყო ისეთი საშიში.

უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ თბილისის "დინამოს" დაცვის შესახებ. სპეციალისტების აზრით იგი დღეს ყველაზე უფრო თანამედროვე და რაციონალური დაცვაა. ეს ასეცაა. "დინამოს" უკანა ხაზის ღირსება იმაშია, რომ იგი უსისტემოდ კი არ იცავს თავს, არამედ თამაშობს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. იყო დრო, როდესაც აპლოდისმენტებს მხოლოდ მეკარე და თავდამსხმელები იმსახურებდნენ. დღეს კი მაყურებელი ხშირად უკრავს ტაშს მცველთა ანსამბლს, სადაც ყველა რგოლი, ყველა ხაზი თავის ადგილზეა. ამ მხრივ სასიამოვნო "აღმოჩენა" იყო პეტრიაშვილი, რომელიც უშეცდომოდ შეეწყო თავის დაცვის მოქმედებას.

სხვათაშორის, აღნიშნულ მატჩს ესწრებოდა კიევის "დინამოს" მწვრთნელი მ. კომანი. მან თავის შენიშვნებში დინამოელთა დაცვის სწორედ ეს ღირსება აღნიშნა და ჩვენც ამიტომ შევჩერდით მასზე ასე დეტალურად. "დინამოს" ძალა ყოველთვის თავდასხმაში იყო. ამჟამად მას დაცვა მიემატა და აი შედეგიც - საქართველოს საუკეთესო გუნდს უკვე 16 მატჩია რაც არ წაუგია.

ახლა კი შეხვედრის მსვლელობის შესახებ. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს დინამოელებმა, რომლებმაც იერიშების წარმოება ძირითადად ცენტრიდან წამოიწყეს. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრების კართან კალოევმა შექმნა. მანვე რამდენიმე წუთის შემდეგ ჩააწოდა ბურთი ბარქაიას, რომელმაც ძნელი მდგომარეობიდან გაიტანა პირველი ბურთი - 1:0.

სულ მალე ცხადი გახდა, რომ კალოევი აშკარად სჯაბნის ნოსოვს, რომ იგი თავისუფლად მანევრირებს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის მახლობლად და რომ იგი ასწრებს ბურთის მიღებას, დამუშავებას და საჭირო ადგილებში გადაყვანას.

მწორედ ასე მიაწოდა მან მე-18 წუთზე ბურთი მელაშვილს. ამ უკანასკნელმა არაჩვეულებრივად ზუსტად და ეკონომიურად გაიყვანა ბარქაია გარღვევაზე. დანარჩენი დინამოელთა შუამარბმა მისთვის ჩვეულ ლამაზ სტილში შეასრულა და ბურთი მეორედ გაახვია როსტოველთა კარის ბადეში.

მეორე ნახევარში ერთხანს ინიციატივა ხელთ ეპყრათ როსტოველებს, მაგრამ მათი შეტევები წყდებოდა დინამოელთა დაცვის წინა ფლანგებზე. სწორედ ამ მიზეზით სტუმრების ტერიტორიული უპირატესობა არაფერ რეალურში არ გადაიზარდა.

შემდეგ თამაში გათანაბრდა. 22-ე წუთზე კი "დინამომ" კიდევ ერთი მწვავე შეტევა წამოიწყო. ხელაძემ კარგად გაიყვანა ბარქაია მარცხენა ფრთაზე, რომელმაც "მოჭრილი ბურთი" ჩააწოდა საჯარიმო მოედნის სიღრმეში. აქ მოწინააღმდეგის მცველებს გაუსხლტა მესხი და... როსტოველთა კარის ბადე მესამედ შეირხა.

მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყდა. როსტოველები შეურიგდნენ კიდეც დამარცხებას, მაგრამ მათ მოულოდნელი "საჩუქარი" მიიღეს ბ. სიჭინავასაგან. "დინამოს" მარჯვენა მცველმა (მან საერთოდ ეს შეხვედრა, ისევე, როგორც წინა მატჩები, ძლიერად და საზრიანად ჩაატარა) ლევჩენკოსთან მიუტევებელ ორთაბრძოლაში გართულმა დაკარგა ბურთი, რომელიც მიიღო პონედელნიკმა და ძლიერი დარტყმით გაგზავნა იგი თბილისელთა კარში. კოტრიკაძე თავგანწირულ ნახტომში შეეხო მხოლოდ ბურთს. ეს იყო თბილისელთა დაცვის და კერძოდ ბ. სიჭინავას ერთადერთი შეცდომა ამ შეხვედრაში, რომელიც გოლის ფასად დაჯდა.

"დინამომ" მოიპოვა კიდევ ერთი საჭირო გამარჯვება (ანგარიშით 3:1) და ორი ქულა.

ნ. გუგუშვილი.
"ლელო", 6 ოქტომბერი, 1962 წ.